

შპს „ავერსის კლინიკა“ აცხადებს ტენდერს ვიდეორგოლის მომზადების თაობაზე

ტენდერის შესყიდვის ობიექტი არის 10 დამოუკიდებელი ვიდეორგოლი. ვიდეორგოლები უნდა ასახავდეს ავერსის კლინიკის 10 სხვადასხვა პაციენტის ისტორიას. თითოეული ვიდეოს ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 2 წუთზე ნაკლები და 4 წუთზე მეტი.

ვიდეოები გაეშვება უხმო მონიტორებზეც, შესაბამისად საჭიროა ჰქონდეს სუბტიტრები, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

მოთხოვნები ტენდერში მონაწილე კომპანიებისადმი:

- FullHD გაფართოების ვიდეო - Mp4 ფორმატში. შესაძლებელი უნდა იყოს მოთხოვნის შესაბამისად სხვა ფორმატში კონვერტირება
- საავტორო მუსიკების დადება ვიდეოზე
- ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სუბტიტრები
- ქოფირაითერი (სარეკლამო განცხადებების / ტექსტების შემდგენელი)
- რეპორტიორი
- კამერა
- ოპერატორი
- პოსტ პროდუქცია (ფერისა და ხმის კორექცია, მონტაჟი)
- უნდა ჰქონდეს გადაღებული story telling-ის (ამბის თხრობა) ჟანრის მინიმუმ 20 ვიდეო, 2019 წლის 20 აპრილამდე
- უპირატესობა მიენიჭებათ კომპანიებს, ვისაც აქვთ მსგავსი ტიპის ვიდეოების დამზადების გამოცდილება, უთანამშრომლიათ კლინიკებთან story telling-ის მიმართულებით

შენიშვნა: სასურველია კომპანიას ჰქონდეს საკუთარი „youtube“ არხი მინიმუმ 500 გამომწერით, ასევე „facebook“ გვერდი მინიმუმ 20000 გამომწერით.

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, ავანსის შემთხვევაში, მოეთხოვება წარადგინოს დამკვეთისთვის მისაღები ბანკიდან/სადაზღვევო კომპანიიდან გარანტიის წარმოდგენა – საავანსო თანხის ღირებულების ოდენობით.

ტენდერში მონაწილეობისთვის დაინტერესებულმა კანდიდატებმა ელექტრონული სისტემის eTenders.ge-ს საშუალებით (ტენდერის ნომერი : 54439), 2019 წლის 7 მაისს, 15:00 სთ-მდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია/დოკუმენტები:

- პრეტენდენტის რეკვიზიტები: სრული დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი, პასუხისმგებელი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები;
- ხელმოწერილი აფიდავიტი დანართის №2 სახით;
- მომსახურების გაწევის ვადა (არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს);
- მომსახურების ღირებულება, გადახდის პირობა;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ხელმოწერილ უნდა იქნას პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ.

პრეტენდენტს, მყიდველის მოთხოვნით შესაძლებელია დამატებით მოეთხოვოს შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან პირის რეგისტრაციის შესახებ (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 14 დღე);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის (ინფორმაციის მომზადების თარიღიდან არ უნდა იყოს გასული 7 დღე);

დამკვეთის მოთხოვნით, ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე, პრეტენდენტებს ასევე შესაძლებელია მოეთხოვოთ სხვა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა.

სატენდერო განცხადებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს პრეტენდენტის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველი.

შენიშვნა: ტენდერი ტარდება "1 კონვერტის პრინციპით", რომელიც არ ითვალისწინებს ვაჭრობის ეტაპს¹. შესაბამისად, პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს მათ მიერ მოწოდებული საქონლის საბოლოო ღირებულება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ტენდერის დასრულების შემდეგ პრეტენდენტი ვერ შეძლებს ტენდერის ფარგლებში დაფიქსირებული საქონლის ღირებულების შემცირებას.

წინამდებარე ტენდერის საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განხილულ იქნება მხოლოდ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში. ამასთან, წინამდებარე სატენდერო განცხადების საფუძველზე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ სატენდერო წინადადების (შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათ შორის პერსონალური მონაცემების) წარმოდგენა ადასტურებს პრეტენდენტ(ებ)ის თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

1) დავით გოგიბერიძე

„ავერსის კლინიკა“-ს მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ტელ: 591 16 22 16

ელ.ფოსტა: Davit.Gogiberidze@aversi.ge

2) მარიამ გამხიტაშვილი

„ავერსის კლინიკა“-ს იურისტი

ტელ: 558 10 13 30

ელ. ფოსტა: mari.gamkhitashvili@aversi.ge;

¹ ერთი კონვერტის პრინციპის ჩატარების წესებისათვის იხილეთ <http://etenders.ge/Page/Instructions>